

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

საქართველოში, 2004 წელს, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართების რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე 2,0 გაუტოლდა. 1990-1994 წლებში თითქმის 6-ჯერ შემცირების შემდეგ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2001 წლიდან იწყებს ზრდას. 2004 წელს 2003 წელთან შედარებით მიმართების რაოდენობა 9,9%-ით გაიზარდა. მიუხედავად ზრდისა პირველადი ჯანდაცვის ქსელის დატვირთვის მაჩვენებელი 35,7%-ს შეადგენს.

ავადობის ზოგადი მაჩვენებლის შედარება წინა წლების მონაცემებთან გვიჩვენებს, რომ მაჩვენებელმა 1990 წლიდან განიცადა მკვეთრი კლება და 1997-2004 წლებში იგი მომატებულია დაავადებათა ყველა ძირითადი კლასის მიხედვით.

2004 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხული დაავადებათა შემთხვევების რაოდენობა, 2002 წელთან შედარებით, 8,0%-ით გაიზარდა.

ინფექციური და პარაზიტული დაავადებების აღრიცხულ შემთხვევათა რაოდენობამ 2004 წელს მოიმატა 7,2%-ით. შემთხვევათა მატება აღრიცხულია როგორც მოზარდებს და მოზრდილებს შორის, ასევე 15 წლამდე ასაკის ბავშვებში. 90-იანი წლების დასაწყისში აღრიცხვიანობის მოშლის შემდგომ, რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა, განსაკუთრებით ბავშვებში, რეალურს მიუახლოვდა, რაც მთლიანად ამბულატორიულ ავადმყოფთა ხარჯზე მოხდა.

საანგარიშო წელს აღრიცხა 2724 ჰეპატიტის შემთხვევა, რაც 9,2%-ით ნაკლებია 2003 წელს აღრიცხულ შემთხვევებთან შედარებით. ეს ძირითადად გამოწვეულია A ჰეპატიტის რაოდენობის 22,9%-ით კლებით. მომატებულია B, C, E, D და გაუმიფრავი ტიპის ჰეპატიტების შემთხვევათა რაოდენობა.

ისე როგორც 2003 წელს, 2004 წელს საქართველოში აღრიცხა დიფთერიის შემთხვევათა კლება (ავადობის მაჩვენებელი შემცირდა 0,3-მდე). 2004 წელს არ აღრიცხულა არც ერთი დიფთერიის მატარებელი. რეგისტრირებულია ამებიაზის 51 შემთხვევა. მატება - 54,5%. ტოქსიკონფექციების 408 შემთხვევიდან 96 შემთხვევა ბავშვებში აღრიცხა. გამოვლენილია ბოტულიზმის 41 შემთხვევა.

2004 წელს აღრიცხა წითელათი დაავადების 6847 შემთხვევა (2003 წელს - 223 შემთხვევა). ავადობის მაჩვენებელი 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 5,2-დან 156,6-მდე, ხოლო ბავშვებში ავადობა გაიზარდა 17,9-დან 456,3-მდე.

საანგარიშო წელს ხუთჯერ მოიმატა წითურას შემთხვევების რაოდენობამაც.

2003 წლის მონაცემებთან შედარებით მალარიის შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 58 შემთხვევით (ავადობის მაჩვენებელი შესაბამისად 2003 წელს - 7,3, 2004 წელს - 5,9).

2003 წლის მონაცემებთან შედარებით მოიმატა ლეიშმანიოზის შემთხვევათა რაოდენობა (2003 წელს 103 შემთხვევა, 2004 წელს -125 შემთხვევა).

აღრიცხულია ცოფით დაავადების 12 შემთხვევა. 2004 წელს 36478 პიროვნებამ სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა ანტირაბიული დახმარებისათვის, რაც 12344-ით მეტია 2003 წელზე. მათგან 82,6% მიიღო დანიშნულება ვაქცინაციაზე. ანტირაბიული ვაქცინაციის პირობითი კურსი დაენიშნა 54,7%-ს, ხოლო აცრების არაპირობითი კურსი 32,5%.

2003 წელთან შედარებით 1,9-ჯერ შემცირდა გრიპის, ხოლო 1,2-ჯერ გაიზარდა მწვავე რესპირატორული ინფექციის შემთხვევები.

საანგარიშო წელს დაიკლო მენინგოკოკური ინფექციების შემთხვევათა რაოდენობამ (2003 წელს - 65 შემთხვევა, 2004 წელს - 46 შემთხვევა).

2004 წელს გამოვლენილია მწვავე ღუნე დამბლის 8 შემთხვევა. ეპიდზედამხედველობის მაჩვენებელი კვლავ ჯანმრთელობის სტანდარტის ღონეზეა.

2004 წელს, საქართველოში აღინიშნა ტუბერკულოზის, როგორც სულ რეგისტრირებულ შემთხვევათა, ასევე ახალ შემთხვევათა რაოდენობის მატება. მატება აღრიცხულია, როგორც ფილტვის, ასევე ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევებში. ტუბერკულოზური მენინგიტით ავადობის მაჩვენებელი ბავშვებში, როგორც 2003 წელს, 3,2 ტოლია. ფილტვგარეშე ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები, სულ ტუბერკულოზის ახალ შემთხვევათა 27,0%-ს შეადგენს.

2004 წლის ბოლოსათვის საქართველოში რეგისტრირებულია შიდსის და აივ-ინფიცირების 508 შემთხვევა (101 ქალი და 407 მამაკაცი), მათ შორის აივ-ით ინფიცირების 458 და შიდსის 50 შემთხვევა. 2003 წელთან შედარებით შიდსის და აივ-ინფიცირების რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობა გაიზარდა 31,3%-ით. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 2004 წელს გამოვლინდა 163 შემთხვევა, მ.შ. 72 შიდსია და 91 აივ-ინფექცია.

გარდა ამისა 2004 წელს საქართველოში გამოვლინდა შიდსის და აივ-ინფიცირების 11 ახალი შემთხვევა უცხოელებში. 2004 წელს გარდაიცვალა 55 ავადმყოფი.

1997 წლიდან აღინიშნებოდა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების შემთხვევათა რაოდენობის მატების ტენდენცია, რომელიც გრძელდება 2004 წელსაც. ავადობის მაჩვენებლის მატება ძირითადად განისაზღვრება გულსისხლძარღვთა პათოლოგიის მძიმე ფორმების და არტერიული ჰიპერტენზიის აღრიცხული შემთხვევების მატებით. რაც შეეხება სტაციონარულ კარდიოლოგიურ დახმარებას, სტაციონარში აღრიცხულია ჰოსპიტალიზაციის 27740 შემთხვევა (ლეტალობა 6,0%), მ.შ. ბავშვებში 925 შემთხვევა (ლეტალობა 5,0%).

2004 წელს სტაციონარებში მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოზით შესული 3608 ავადმყოფიდან დაავადების დაწყების პირველ 24 საათში, როდესაც საექიმო დაკვირვებას და სათანადო სპეციალიზირებულ მკურნალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შემოსულია 1626 ავადმყოფი (45,1%), რაც 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8,7%-ით მეტია.

1997 წლიდან საქართველოში მოიმატა ფსიქიური და ქცევითი აშლილობის დიაგნოზით რეგისტრირებულ დაავადებათა რაოდენობამ, განსაკუთრებით ეს გამოხატულია ბავშვებში; ავადობის მაჩვენებელი გაიზარდა 1997 წელს 25,6-დან 2004 წელს 140,8-მდე.

2000 წლიდან ნარკოლოგიური პროფილის დისპანსერებში აღინიშნება, ფსიქოპათიური ნივთიერებების გამოყენებით (ალკოჰოლი, ნარკოტიკული და არანარკოტიკული საშუალებები) გამოწვეული ფსიქიური და ქცევითი აშლილობების დიაგნოზით აღრიცხულ ავადმყოფთა რაოდენობის მატება. 2004 საანგარიშო წლის ბოლოს დისპანსერულ დაკვირვებაზე და პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე იმყოფებოდა 31417 ავადმყოფი, რაც 10,8%-ით მეტია 2003 წლის მონაცემებზე. ნარკოლოგიურ დისპანსერებში რეგისტრირებული ფსიქოპათიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიური და ქცევითი აშლილობების შემთხვევათა შორის 7 შემთხვევა 15 წლამდე ასაკის ბავშვებში, 47 შემთხვევა 15-17 წლის ასაკის მოზარდებში, 612 შემთხვევა 18-20 წლის ასაკის ახალგაზრდებშია აღრიცხული.

საანგარიშო წლის ბოლოს, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზით რეგისტრირებულია 50010 ავადმყოფი. დიაბეტის რეგისტრირებული შემთხვევებიდან ინსულინდამოკიდებულია 27,6% (13826 შემთხვევა), ინსულინდამოუკიდებელია 72,4% (36184 შემთხვევა).

ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით წლის ბოლოს აღრიცხვაზე იმყოფებოდა 28853 ავადმყოფი. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლენილია 5726 დაავადების შემთხვევა, მათ შორის 54,1% ქალია, 45,8% მამაკაცი. 2004 წელს, 7%-ით კლების მიუხედავად, ისევ მაღალია (43%) დაავადების IV სტადიაში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა. ლოკალიზაციის მიხედვით ათვისებიან სიმსივნეთა ახალი შემთხვევების სტრუქტურაში: ქალებში - სარძევე ჯირკვლის (35,6%), სასქესო ორგანოების (24,6%) და საჭმლის მომნელებელი ორგანოების (16,9%); მამაკაცებში - სუნთქვის და გულმკერდის ორგანოების (31,6%), საჭმლის მომნელებელი ორგანოების (25,9%) და სასქესო ორგანოების (8,9%) სიმსივნეები შეადგენენ. საანგარიშო წელს აღრიცხული ავადმყოფებიდან გარდაიცვალა 4322. ათვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა ავადმყოფთა 38,0%. 2004 წელს, კონტიგენტის საერთო რაოდენობის 43,2% ხუთი და მეტი წლის განმავლობაში აღრიცხვაზე მყოფი ავადმყოფია.

2004 წელს სიმსივნეების დიაგნოზით სტაციონარებში ჰოსპიტალიზირებულია 9141 ავადმყოფი, მ.შ. 650 ბავშვი.

სუნთქვის ორგანოების დაავადებების დიაგნოზით სტაციონარებში დაავადებების დიაგნოზით სტაციონარიდან გავიდა 38395 ავადმყოფი (ლეტალობა 0,7%), მ.შ. 7226 0-1 წლამდე ასაკის ბავშვია (ლეტალობა 0,6%).

1997 წლიდან აღინიშნება სისხლის და სისხლმბადი ორგანოების დაავადებებით რეგისტრირებულ ავადმყოფთა მატება, როგორც სულ მოსახლეობაში, ასევე 15 წლამდე ბავშვებში. დაავადებათა ამ კლასის სტრუქტურაში რეგისტრირებულ შემთხვევათა 90,1%-ს, ხოლო სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულის 94,3%-ს ანემიები შეადგენს. ანემიების სტრუქტურაში კი ქალაქ თბილისის მონაცემებით 85,0% რკინადეფიციტური ანემიაა.